დანართი

მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

უმაღლესი განათლების მეორე საფეხური

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონე

2024 წელი

I. შესავალი

მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი[1] აკადემიური განათლების სტანდარტია, რომლის მიზანია განსაზღვროს მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების სფეროში უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგები, ამისთვის საჭირო მინიმალური მოთხოვნები და ამ შედეგების მიღწევისათვის საჭირო სწავლება-სწავლისა და შეფასებების შესაბამისი მიდგომები.

მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დასაგეგმად/განსახორციელებლად.
2. სტუდენტისთვის/მაგისტრანტობის კანდიდატისთვის, რომელსაც აქვს ინტერესი, თუ რა კომპეტენციები ექნება მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ.
3. დამსაქმებლისთვის, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა სახის კომპეტენციებს ითხოვს შრომის ბაზარი კურსდამთავრებულისგან და თუ სურს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის მიღება.
4. ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის პროცესში ჩართულ პირთათვის, რომლებსაც ევალებათ საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდულად შეფასება და ხარისხის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

დარგობრივ მახასიათებელში აღწერილია მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების სფეროში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო მინიმალური სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლების, შეფასების მეთოდები და სხვა არსებითი მახასიათებლები. მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული

[1]დარგობრივი მახასიათებელი - შუალედური დოკუმენტი, რომელიც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საგანმანათლებლო პროგრამასთან აკავშირებს და რომლის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნებისა და მოქნილობის უზრუნველყოფა. ის აღწერს სწავლის მინიმალურ შედეგებს, რომლებსაც შესაბამისი დონისა და სწავლის სფეროს/დარგის კვალიფიკაციის მფლობელმა უნდა მიაღწიოს.

დებულებები, გარდა სარეკომენდაციო ხასიათისა (სწავლა-სწავლებასთან, შეფასებასა და რესურსებთან მიმართებით), სავალდებულოა შესასრულებლად ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, რომლებიც გეგმავენ/ახორციელებენ მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების სფეროში სამაგისტრო ერთწლიან ან ორწლიან საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს.

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა შეადგენს 7 წელს.

ინგლისურ ენაზე დარგობრივი მახასიათებლის დასახელებაა -
The Subject Benchmark Statement of Management Information Systems.

II. სწავლის სფეროს აღწერა

მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების სფერო ფოკუსირებულია ორგანიზაციების განვითარების სტრატეგიისა და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების ინტეგრირებაზე. მისი მიზანია მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების საშუალებით ოპტიმალური/ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება, ორგანიზაციის სტრატეგიის განხორციელება, ინფორმაციის უსაფრთხოებისა და დაცვის ზომების გაძლიერება, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მართვა, ბიზნეს პროცესების გამარტივება და სხვ.

მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების სპეციალისტი ახდენს ორგანიზაციაში მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების გაანალიზებასა და შეფასებას, ბიზნესის ანალიზს, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მართვას, ინფორმაციის უსაფრთხოებასა და დაცვას, მონაცემთა ბაზების მართვასა და პროექტების მენეჯმენტს ინფორმაციული ტექნოლოგიებით.

მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების სამაგისტრო საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა კვალიფიკაციის მფლობელისთვის უნდა უზრუნველყოფდეს სიღრმისეული ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის გამომუშავებას ქვემოთ მითითებული მიმართულებების ფარგლებში:

1) **ორგანიზაციის მართვა და ორგანიზაციული გარემო:** ორგანიზაციის სტრატეგიული მართვა, პოლიტიკა, ტექნოლოგიური ინოვაციების მართვა. ორგანიზაციის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, სამართლებრივი და ტექნოლოგიური გარემო.

2) **ორგანიზაციაში მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების ანალიზი:** მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების შეფასება, მართვა და განვითარების სტრატეგიების ფორმირება, ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა, ბიზნეს-პროცესების მოდელირება და ოპტიმიზაცია, ბიზნესის ანალიზი, ორგანიზაციული ცვლილებების მართვა ტექნოლოგიურ გარემოში.
3) **ორგანიზაციებში მონაცემთა ბაზების მართვა:** ორგანიზაციებში მონაცემთა ბაზების ეფექტური მართვა (მონაცემთა შეგროვება, გაწმენდა, ინტერპრეტაცია, მონაცემთა ანალიზის ინსტრუმენტები, სტატისტიკური მეთოდების გამოყენება, ღრუბლოვანი მონაცემთა ბაზები და სხვ.), მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები.
4) **ინფორმაციის უსაფრთხოება და დაცვა:** ორგანიზაციებში მონაცემების დაცვა, ქსელისა და აპლიკაციების უსაფრთხოება, მომხმარებელთა ავტორიზაციისა და აუთენტიფიკაციის მართვა, ინციდენტების შემთხვევაში უწყვეტობის დაგეგმვა, რისკების მართვა, უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება და ა.შ.
5) **ინფორმაციული ტექნოლოგიები პროექტების მენეჯმენტში:** ორგანიზაციებში ინფორმაციული ტექნოლოგიებით პროექტების მართვა (დაგეგმვა, რესურსების განაწილება, შესრულება, მონიტორინგი, რისკების ანალიზი, ხარისხის მართვა და პროექტების დასრულება). პროექტების სამართავად გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფა.
6) **ორგანიზაციებში თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები:** ორგანიზაციებში თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების (ხელოვნური ინტელექტი (AI), მანქანური სწავლება (ML), ბლოკჩეინტექნოლოგია, ნივთების ინტერნეტი (IoT) და სხვ.) გავლენის შეფასება და მათი სტრატეგიული მართვის უპირატესობა.

III. სწავლის შედეგები

მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის/ღირებულებების შეძენა/განვითარებისკენ, რომლებიც კურსდამთავრებულს მოეთხოვება მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის დასრულებისას. დარგობრივ მახასიათებელში მოცემული სწავლის შედეგები მოიაზრებს მინიმალურ მოთხოვნებს. უსდ-ს შეუძლია, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის

თანამედროვე მიღწევების/გამოცდილების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამით სხვა შედეგებიც განსაზღვროს.

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების სწავლის სფეროს ერთწლიანი/ორწლიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება:

1. სიღრმისეულად და სისტემურად აყალიბებს, ორგანიზაციული პროცესების ეფექტური მხარდაჭერისთვის, ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების საქმიანობასთან დაკავშირებულ მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების მართვის (დაპროექტება, დანერგვა, გამოყენება, განვითარება), შეფასებისა და ანალიზის თანამედროვე კონცეფციებს, თეორიებს, მიდგომებსა და მოდელებს.
2. კრიტიკულად და არგუმენტირებულად განიხილავს ორგანიზაციის სტრატეგიულ მართვასა და პოლიტიკას. აგრეთვე, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სამართლებრივ და ტექნოლოგიურ გარემოში მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების გამოყენების შესაძლებლობას.

უნარები:

1. ორგანიზაციაში ორიგინალური და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მისაღებად იყენებს მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემებს;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით მართავს ორგანიზაციულ პროცესებს (ინფორმაციის უსაფრთხოება და დაცვა, მონაცემთა ბაზებისა და პროექტების მართვა და სხვ.);
3. აფასებს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების (ხელოვნური ინტელექტის (AI), ნივთების ინტერნეტის (IoT), მანქანური სწავლების (ML), ბლოკჩეინტექნოლოგიის და სხვ.) გავლენას ორგანიზაციულ პროცესებზე;
4. დამოუკიდებლად წარმართავს მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების სფეროსთვის დამახასიათებელ კვლევას (სამაგისტრო პროექტი/ ნაშრომი ან სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი ან პროფესიული (პრაქტიკული) პროექტი);
5. ეფექტურად წარადგენს (ზეპირი, წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით) მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების სფეროში კვლევის შედეგებს, მიგნებებს,

არგუმენტებს და დასკვნებს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული საზოგადოებისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

1. განსაზღვრავს სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების გამოყენების სტრატეგიებსა და ადაპტირების გზებს.
2. დამოუკიდებლად განსაზღვრავს შემდგომი სწავლისა და განვითარების საჭიროებებს.

IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების სწავლის სფეროს შესაბამის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში კურსდამთავრებულებს შეიძლება მიენიჭოთ ქვემოჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი კვალიფიკაცია:

ა) კვალიფიკაციის ფორმულირება განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსიდან, სტრუქტურიდან და მიზნებიდან გამომდინარე. დეტალური სწავლის სფეროს მითითებით მაგისტრის კვალიფიკაცია ენიჭება იმ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებს, სადაც აქცენტი კეთდება პრაქტიკაზე და პროფესიაში პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე.

არანაკლებ 120 კრედიტიანი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში:

- მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების მაგისტრი Master of Management Information Systems
- ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემებში Master of Business Administration in Management Information Systems

არანაკლებ 60 კრედიტიანი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში:

- მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების მაგისტრი Master of Management Information Systems (ძალაშია კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების შემდეგ)

- აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემებში Executive Master of Business Administration in Management Information Systems

ბ) თუ მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების სწავლის სფეროს შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებებზე და ზოგადად ბიზნესის მართვის თეორიულ შესწავლაზე, მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება შესაძლებელია იყოს:

- ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემებში Master of Arts in Management Information Systems

გ) თუ ბიზნესის ადმინისტრირების სწავლის სფეროს შესაბამისი მე-7 დონის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი ორიენტირებულია კურსდამთავრებულებს გამოუმუშავოს სამეცნიერო-კვლევითი უნარები, ამ შემთხვევაში კვალიფიკაციის ფორმულირება შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმით:

- მეცნიერების მაგისტრი მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემებში Master of Science in Management Information Systems

V. სწავლება, სწავლა და შეფასება

წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელში სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს და ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს.

სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები ხელს უნდა უწყობდეს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, სპეციფიკური მასალის ათვისებასა და აგრეთვე სტუდენტის ტრანსფერული უნარების განვითარებას. სწავლება-სწავლის მეთოდები და მათ მისადაგებული შეფასების მიდგომები და კრიტერიუმები სტუდენტის სწავლის შედეგებისა და დარგობრივ მახასიათებელთან ზოგადი შესაბამისობის დემონსტრირების საშუალებას უნდა იძლეოდეს. აღნიშნული უნდა მოიცავდეს საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სტუდენტებთან სიღრმისეული უკუკავშირის ვალდებულებასა და შესაძლებლობას. ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდები სწავლა-სწავლებისა და შეფასების ყველაზე გავრცელებული ფორმებია, თუმცა, სასწავლო პროგრამით შესაძლებელია

გათვალისწინებული იყოს მხოლოდ ზოგიერთი მათგანი და აგრეთვე სხვა მეთოდები. უსდ-ები მუდმივად უნდა ზრუნავდნენ სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდების გადახედვა-განახლებაზე, სწავლებისა და შეფასების საუკეთესო პრაქტიკისა და მენეჯმენტთან დაკავშირებული კომპეტენციების განვითარების მხრივ არსებული მიღწევების გაზიარება/დანერგვის გზით.

მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების სფეროში სწავლების ფორმები ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების შემდეგი გავრცელებული მეთოდებით:

- ვერბალური მეთოდი (Verbal Method);
- დემონსტრირების მეთოდი (Demonstrate Method);
- პრეზენტაცია (Presentation);
- პრაქტიკული მუშაობა (Practical Work);
- ჯგუფში მუშაობა (Group Work);
- პროექტზე დაფუძნებული სწავლება (Project Based Study);
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (Problem Based Study);
- სწავლება კეთებით (Learning by Doing);
- შემთხვევის შესწავლა (Case Study);
- სიმულაციური სწავლება (Simulation Study);
- ლაბორატორიული მუშაობა (Laboratory Work);
- დისკუსია/ დებატები (Discussions/Debates);
- ელექტრონული სწავლება;
- და სხვა.

სწავლება-სწავლისათვის გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს სრულყოფს. სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვა გზით, როგორიცაა: წიგნების/ სახელმძღვანელოების დამოუკიდებლად დამუშავება/ განმარტება/ ინტერპრეტირება, პრაქტიკული მაგალითები, პროფესიული ანგარიშის შედგენა, შეკითხვებზე პასუხების მომზადება, წერილობითი დავალებების შესრულება, შემთხვევების ანალიზი, დისკუსიებსა და დებატებში მონაწილეობა, კვლევითი ნაშრომის დამოუკიდებლად მომზადება ხელმძღვანელის მითითებების საფუძველზე, ნაშრომის/პროექტის/თეზისის დამოუკიდებლად მომზადება და სწავლა პრაქტიკული სამუშაოს შესრულების გზით. სტუდენტი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს სასწავლო პროცესში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მის მიერ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რეალურ ან რეალურთან მიახლოებულ სიტუაციებში.

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებიც მრავალგვარია და მოიცავს დებატებში/დისკუსიებში/პროფესიული ხასიათის განხილვებში მონაწილეობას, მშობლიურ ან უცხოურ ენაზე საჯარო პრეზენტაციების ჩატარებას, პროექტების, კვლევითი ნაშრომებისა და გამოცდების საფუძველზე ინდივიდუალურ შეფასებას, ზეპირი და წერითი დავალებების შესრულებას, გუნდში მუშაობის შეფასებას, სტუდენტთა ურთიერთშეფასებას, ანგარიშის მომზადებას და წარმოდგენას და სხვა. მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას სტუდენტის შეფასება უნდა განხორციელდეს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაცია

საბჭომ ბლუმის ტაქსონომიის დონეებზე დაყრდნობით, საორიენტაციოდ შეიმუშავა ცხრილი მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების შესაბამის მიმართულებაში სამაგისტრო საფეხურის კომპეტენციების განსაზღვრისთვის.

აღნიშნული კომპეტენციების ცხრილი წარმოადგენს მინიმალური კომპეტენციების ჩამონათვალს, რომელიც დაეხმარება საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლებს პროგრამების ჩამოყალიბების პროცესში.

მოსალოდნელი სწავლის შედეგების დონეები განსაზღვრულია ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისად, დამახსოვრების, გაცნობიერების, გამოყენების, გაანალიზების, შეფასების, შექმნის ჭრილში და ასახულია ცხრილი 1-ში.

მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების მიმართულებებია:

1. ორგანიზაციის მართვა და ორგანიზაციული გარემო.
2. ორგანიზაციებში მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების ანალიზი.
3. ორგანიზაციებში მონაცემთა ბაზების მართვა.
4. ინფორმაციის უსაფრთხოება და დაცვა.
5. ინფორმაციული ტექნოლოგიები პროექტების მენეჯმენტში.
6. ორგანიზაციებში თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები.

ცხრილი 1: მოსალოდნელი კომპეტენციები ბლუმის ტაქსონომიის დონეების მიხედვით მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების მიმართულების შესაბამის სფეროში სამაგისტრო საფეხურზე:

N	მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების ძირითადი სფეროები კვალიფიკაციის მინიჭებისათვის სავალდებულო მინიმალური ცოდნა-უნარების დასაუფლებლად		დამახსოვრება	გაცნობიერება	გამოყენება	გაანალიზება	შეფასება	შექმნა
			1	2	3	4	5	6
1.	**ორგანიზაციის მართვა და ორგანიზაციული გარემო**	ორგანიზაციის სტრატეგიული მართვა, პოლიტიკა, ტექნოლოგიური ინოვაციების მართვა. ორგანიზაციის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, სამართლებრივი და ტექნოლოგიური გარემო						
2.	**ორგანიზაციაში მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების ანალიზი**	მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების შეფასება, მართვა და განვითარების სტრატეგიების ფორმირება, ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა, ბიზნეს-პროცესების მოდელირება და ოპტიმიზაცია, ბიზნესის ანალიზი, ორგანიზაციული ცვლილებების მართვა ტექნოლოგიურ გარემოში.						
3	**ორგანიზაციებში მონაცემთა ბაზების მართვა**	ორგანიზაციებში მონაცემთა ბაზების ეფექტური მართვა (მონაცემთა შეგროვება, გაწმენდა, ინტერპრეტაცია, მონაცემთა ანალიზის ინსტრუმენტები, სტატისტიკური მეთოდების გამოყენება, ღრუბლოვანი მონაცემთა ბაზები და სხვ.), მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები.						
4.	**ინფორმაციის უსაფრთხოება და დაცვა**	ორგანიზაციებში მონაცემების დაცვა, ქსელისა და აპლიკაციების უსაფრთხოება, მომხმარებელთა ავტორიზაციისა და აუთენტიფიკაციის მართვა, ინციდენტების შემთხვევაში უწყვეტობის დაგეგმვა, რისკების						

		მართვა, უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება და ა.შ						
5	**ინფორმაციული ტექნოლოგიები პროექტების მენეჯმენტში**	ორგანიზაციებში ინფორმაციული ტექნოლოგიებით პროექტების მართვა (დაგეგმვა, რესურსების განაწილება, შესრულება, მონიტორინგი, რისკების ანალიზი, ხარისხის მართვა და პროექტების დასრულება). პროექტების სამართავად გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფა						
6	**ორგანიზაციებში თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები**	ორგანიზაციებში თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების (ხელოვნური ინტელექტი (AI), მანქანური სწავლება (ML), ბლოკჩეინტექნოლოგია, ნივთების ინტერნეტი (IoT) და სხვ.) გავლენის შეფასება და მათი სტრატეგიული მართვის უპირატესობა						

VI. დამატებითი ინფორმაცია

6.1 მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ძალაში შევიდეს დამტკიცებისთანავე.

6.2 დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მისანიჭებელი კვალიფიკაციების მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის № 69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,სწავლის სფეროების კლასიფიკატორით" გათვალისწინებული დეტალური სფეროს “მენეჯმენტი და ადმინიტრირება” სწავლის სფეროში (მეორე სვეტში) „მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების “ დამატების შემდეგ.

6.3 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია აღნიშნული კვალიფიკაციით შემუშავებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები

შესაბამისობაში იყოს მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან.

6.4 დაწესებულება ვალდებულია, ახალი საგანამანათლებლო პროგრამის/პროგრამების სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის დროს, პროგრამა/პროგრამები შესაბამისობაში იყოს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან;

VII. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

7.1 დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

მენეჯმენტის და ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1	ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი	სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი	მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი, მენეჯმენტის პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2	ციური დურული	სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი - საბჭოს მდივანი;
3	გოჩა თუთბერიძე	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	რექტორი, ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამისა და ფინანსების სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი, პროფესორი - საბჭოს წევრი;
4	ეკატერინე ნაცვლიშვილი	შპს ევროპის უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამების

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
			ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
5	მარინე კობალავა	შპს თბილისის თავისუფალი აკადემია	ვიცე რექტორი, მოწვეული პერსონალი ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, - საბჭოს წევრი;
6	გიორგი თურქია	ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ხელმძღვანელი, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი - საბჭოს წევრი;
7	ლარისა თაკალანძე	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების თანახელმძღვანელი/მენეჯმენტის მოდულის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;
8	ეკა ჩოხელი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მენეჯმენტისა და ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
9	აკაკი ხელაძე	სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი	მენეჯმენტის სკოლის პროფესორი - საბჭოს წევრი;
10	ანზორ აბრალავა	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი - საბჭოს წევრი;
11	ზაზა სოფრომაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
12	ბადრი რამიშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მენეჯმენტისა და ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
13	ია ჯიმშიტაშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს წევრი;
14	ლაშა ნარსია	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
15	რომან მამულაძე	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	პროფესორი - საბჭოს წევრი;
16	ზურაბ გარაყანიძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
17	ეკა დევიძე	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	პროფესორი - საბჭოს წევრი;
18	მიხეილ თოქმაზიშვილი	შპს ალტე უნივერსიტეტი	მოწვეული პერსონალი - საბჭოს წევრი;
19	გიორგი ბედინეიშვილი	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	ბიზნეს სკოლის დეკანი - საბჭოს წევრი;
20	ნინო ზარნაძე	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
21	თეონა მაისურაძე	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი - საბჭოს წევრი;
22	ნათია სურმანიძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	მეცნიერი თანამშრომელი - საბჭოს წევრი;
23	ნინო დამენია	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის	პროფესორი - საბჭოს წევრი;

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
		სახელობის ქართული უნივერსიტეტი	
24	ვახტანგ ჭარაია	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის	რექტორის მოადგილე სამეცნიერო და კვლევითი მიმართულებით, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
25	ნინო მურჯიკნელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ადმინისტრაციული დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- საბჭოს წევრი;
26	ელენე ზერეკიძე	კომპანია „BDO GEORGIA”	სწავლების და განვითარების L& სერვისის მენეჯერი - საბჭოს წევრი;
27	ნანა შონია	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს წევრი

7.1. 7.2. გარე ინიცირების ფარგლებში დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის/სამუშაო ჯგუფის წევრები[2]

გარე ინიცირების ფარგლებში მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

N	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1	დემურ სიჭინავა	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი
2	რუსუდან სეთურიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, უმაღლესი განათლების აკრედიტაციის ექსპერტი

[2] ივსება არსებობის შემთხვევაში

3	თეა მუნჯიშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი
4	მურთაზ მაღრაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, ემერიტუსი
5	თინა მელქოშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი
6	მზია ტიკიშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასისტენტ-პროფესორი
8	ეკა ლეკაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, უმაღლესი განათლების აკრედიტაციის ექსპერტი
9	დავით სიხარულიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, უმაღლესი განათლების აკრედიტაციის ექსპერტი
10	ნინო ფარესაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი